საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლაშხი ქეთევან სპარტაკის ასული

ლაშხი ქეთევან სპარტაკის ასული (დ. 22.V. 1957, თბილისი), რადიოლოგი. საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (2015). 1982 დაამთავრა თსსი. 1983–90 იყო ნ. კახიანის სახ. ამიერკავკ. რკინიგზის საავადმყოფოს კარდიოლოგი; 1991–96 მუშაობდა სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის (ახლანდ. აკად. ფ. თოდუას სახ. სამედ. ცენტრი) კომპიუტერული ტომოგრაფიის განყ-ბაში. 1991, 1995, 1997, 2010 წლებში კომპიუტერული ტომოგრაფიისა და მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის სპეციალიზაციის განხრით გაიარა სტაჟირება ქ. გრაცის (ავსტრია) საუნივერსიტეტო კლინიკაში. 1997-იდან ხელმძღვანელობს კლინ. მედიცინის სამეცნ.-კვლ. ინ-ტის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის განყ-ბას.

ლ-ს სამეცნ. ნაშრომები და გამოგონებები ეძღვნება კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კვლევის აქტუალურ საკითხებს.

ლ. არის საქართვ. (1993) და ევრ. რადიოლოგთა ასოციაციების წევრი (1997).

მიღებული აქვს სახელმწ. ჯილდოები, ასევე საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის გ. მუხაძის სახ. პრემია (2010).